ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

21 აგვისტო, სამშაბათი, 1990 წ. № 157 (10 826) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

## საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი:

● **ოქროს მედლები**

სპორტული ტანვარჯიში — სოფიკო მანაგაძე, გენადი სურმანიძე, ილია გიორგაძე; კალათბურთი — ჭაბუკთა ნაკრები გუნდი; ხელბურთი — გოგოების ნაკრები გუნდი.

● **ვერცხლის მედლები**

ხელბურთი — ჭაბუკთა ნაკრები გუნდი; სპორტული ტანვარჯიში — ნიკოლოზ კოსტანიანი, ილია გიორგაძე

● **ბრინჯაოს მედლები**

სპორტული ტანვარჯიში — ნიკოლოზ ბარამიძე, ილია გიორგაძე, სოფიკო მანაგაძე.

ბადმინტონი — გუნდური მესამე ადგილი.

# 32 წლის წინათ, 32 წლის შემდეგ, ხელბურთში კი პირველად



ამ ფოტოსურათზე, რომელიც „ლელოს" 1958 წლის 28 აგვისტოს ნომრიდან გადმოვბეჭდეთ, ასახულია მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი — საქართველოს ნაკრები გუნდი. მაშინ ნაკრებში თამაშობდნენ: ვ. ალთაბაევი, ა. კაზანჯიანი, ლ. მოსეშვილი, ა. საკანდელიძე, ვ. ლომაძე, ა. სხირელი, ა. გლურჯიძე, ა. წერეთელი, ც. ჩოგოვაძე, ი. ლეჟავა (მწვრთნელი მ. კეკელიძე).

შემადგენლობა მოგვაწოდა ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა შ. ახვლედიანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ჯ. ზალდასტანიშვილის ფოტო.



1990 წ. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი — საქართველოს ნაკრები გუნდი. პირველ რიგში — ვახტანგ იაშვილი, ალექსი დავითულიანი, არჩილ ულენტი, ნიკოლოზ იაქაშვილი, შალვა დოლიძე, კახა ბარამიძე. დგანან: გუნდის უფროსი მწვრთნელი გივი ქილიტაური, თამაზ გიგაური, ვახიკო გოგუა, დათო ბერძენიშვილი, იგორ მურაიტოვი, ზაზა მაჩალაძე, ვასიკო ოთიურიძე და მწვრთნელები მერაბ ცირეკიძე, თამაზ ოქრუაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



ხელბურთელმა გოგოებმა კი საერთოდ ქართული ხელბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვეს ჩემპიონობა და ოქროს მედლები.

პირველ რიგში: თინა ნოზაძე, დალი ნიკადინოვა, ლალი ვაჩაძე, ნინო წივწივაძე, მაია კუხალეიშვილი, ეკა ყიყიაშვილი. დგანან: მწვრთნელი ვილი ვარამაშვილი, ლედი ელიაშვილი, ელენე არაბული, მადონა ორმოცაძე, ქეთინო კინწუაშვილი, ლედი ჯიოშვილი, ირინა ხმისლოვა და გუნდის უფროსი ამბერკი ტაბიძე.

## ცნობა გორკიდან

**საყურადღებო** ცნობა მოგვაწოდეს გუშინ გორკიდან. აქ მიმდინარე მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ბადმინტონისტთა ფინალურ ტურნირში საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი ირაკლი კაველაძე) მეხამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მათ ჯერ ლენინგრადელები დაამარცხეს (3:2), შემდეგ ბელორუსიის ნაკრებს სძლიეს (3:2), წააგეს მხოლოდ მოსკოვის გუნდთან (1:4) და მესამე ადგილისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში სძლიეს მოლდოვას ნაკრებს — 3:2.

შეჯიბრება პირად პირველობაში გრძელდება.

„ლელოს" კორ.

## პირველი წინაღობა გადალახულია

**საქართველოს** წყალბურთელთა ნაკრების მეტოქე მეორე ტურში ტაჯიკეთის ძლიერი კოლექტივი იყო, რომელსაც თუ ტურნირის ლიდერად არა, ვერც აუტსაიდერად მივიჩნევთ. ამ მატჩში გამარჯვებულს, ფაქტობრივად, განაღდებული ექნებოდა მეოთხედფინალის საგზური, რადგანაც წინა ტურში ორივე გუნდმა დაამარცხა მეტოქეები. საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა რეალურად შეაფასეს მეტოქეთა შესაძლებლობები და თავიდანვე უძლიერესი შემადგენლობა დაუპირისპირეს მათ. პირველ პერიოდში ჩვენმა სპორტსმენებმა მინიმალურ უპირატესობას მიაღწიეს — 2:1; თავიდან აღებული მაღალი ტემპი არც მომდევნო პერიოდში დაუგდიათ და ფროლოვის ერთ გოლს გვარამიძემ და ჩივაძემ ორი ზუსტი ტყორცნით უპასუხეს — 4:2. მესამე პერიოდში ჩვენმა წყალბურთელებმა მცირეოდენი შეცდომებით ითამაშეს, ვერ იყენებდნენ რიცხობრივ უპირატესობას (მთელი შეხვედრის განმავლობაში 9-ჯერ იყვნენ ჩვენები რაოდენობრივად მეტნი). საბედნიეროდ, არც სტუმრები მოქმედებდნენ უნაკლოდ, რაც ჩვენს წყალბურთელებს შესაძლებლობას აძლევდა, მეთოდური შეტევებით უზრუნველეყოთ თავიანთი უპირატესობის რეალიზება. 7:4 — ეს ციფრი ენთო ტაბლოზე მეოთხე პერიოდის დასაწყისამდე, რომელიც დაძაბულობით წინა სამს აღემატებოდა. სტუმრებმა პრესინგს მიმართეს და კონტრშეტევებით შეეცადნენ ანგარიშში სხვაობის გაბათილებას. არჩეულმა ტაქტიკამ გარკვეულწილად გაამართლა კიდეც — პრავოვმა და ვასილიევმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა (7:6). მაგრამ, საბედნიეროდ, მალე ლაითაძემ და გოგიშვილმა დააწინაურეს თანაგუნდელები, ამჯერად ჩვენმა წყალბურთელებმა მიმართეს სტუმართა მიერ ნაცად ტაქტიკურ ხერხს — მჭიდრო მეურვეობას და, საბოლოოდ, ორი ბურთით დაამარცხეს მეტოქე — 9:7.

მესამე ტურში საქართველოს ნაკრების პირისპირ ლენინგრადის გუნდი წარდგა. ამ მატჩის შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა არც ერთი გუნდისთვის, რადგან საქართველოს ნაკრებმა ტაჯიკეთის გუნ-

იხ. მე-2 გვ.



მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მეორე პრიზიორი — საქართველოს ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრები გუნდი. პირველ რიგში: გიორგი პაპიაშვილი, მამუკა ნაროზაული, ირაკლი ხურციძე, გოჩა მარგებაძე, იაგო ჩხაიძე, ლევან გელაშვილი, გიგა მაღლაქველიძე. დგანან: გიორგი ბუთიკაშვილი, ოლეგ მახიუკოვი, გიორგი იუნანოვი, გიორგი კურტანიძე, მწვრთნელი ჯიმშერ დვალიშვილი, გუნდის უფროსი ამბერკი ტაბიძე, ჯონი ეფრემაძე, ვახტანგ ცუცქირიძე. ა. კოტორაშვილის ფოტო.

## გივი ხომერიკი — პირველი საქართველოდან

**მოსკოვში** მსროლელთა საერთაშორისო კავშირის (უიტ-ი) კონგრესზე სასტენდო სროლაში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭეს ოზურგეთელ გივი ხომერიკს. სხვათა შორის, ასეთი მაღალი რანგის წოდება პირველად მიენიჭა საქართველოს წარმომადგენელს.




# მედლის მეორე მხარე

**ამერიკელ** ბრიუს ბაუმპარტნერთან დავით გობეჯიშვილის შეხვედრის შედეგს ერთგვარი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ საქართველოს ყველა წარმომადგენლისთვის, რადგან ორთაბრძოლებში ჩვენთვის მედლების ანგარიში დათოს უნდა გაეხსნა.

რამდენიმე სპორტსმენის გარდა, საქართველოს წარგზავნილები ძირითადად თამაშების დამთავრებამდე ერთი კვირით ადრე ებმებოდნენ შეჯიბრებებში. ეს იყო სპორტის ის სახეობები, სადაც მედლების მოგების შანსი გვქონდა. პირველმა, როგორც ვთქვით, დავით გობეჯიშვილმა დაიწყო ასპარეზობა და წარმატებითაც. დათოს მეორე მედალი, ამჯერად — ვერცხლისა, გუნდურ პირველობაშიც ხვდა.

ქართველი ძიუდოისტებისგან ყველა მეტს მოელოდა, მათ შორის, ცხადია, პირველ ყოვლისა, ჩვენი გულშემატკივრები. თუმცა უმედლოდ არც ერთი ფალავანი დარჩენილა, მათგან მაინც უფრო სტაბილურ და შთამბეჭდავ ასპარეზობას, უფრო მაღალ ჯილდოებს ველოდით (გაგახსენებთ, ჩემპიონი გახდა ამირან ტოტიკაშვილი, კობა კურტანიძეს და ვლადიმერ დგებუაძეს კი ბრინჯაოს მედლები ხვდათ). ძიუდოისტთა ასპარეზობას მე არ ვესწრებოდი და საკუთარ შთაბეჭდილებებს კონკრეტულ ორთაბრძოლებზე ვერ მოგახსენებთ. ეს შეჯიბრება თამაშების მიწურულს ჩატარდა.

მოსკოვიდან სიეტლში გამგზავრების წინ ვიტყობინებოდი, რომ სხვა ჟურნალისტებთან ერთად 28 ივლისს უნდა დავბრუნებულიყავი უკან. ამის გამო პროტესტი მოსკოვში განვაცხადე, მაგრამ საკითხი ვერ გადაწყვიტეს. სიეტლში კი საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარეს პირადად ვესაუბრე, კატეგორიულად მოვთხოვე ვიზის გაგრძელების ნება დაერთო, რათა საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლების ხილვისა და შეფასების შესაძლებლობა მომცემოდა. თანხმობა მივიღე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვიზა მხოლოდ ხუთი დღით გააგრძელეს და თამაშებს ბოლომდე მაინც ვერ დავესწარი. ახლა ამას იმიტომ ვამბობ, რომ დადგა დრო, ვიზრუნოთ და მოვაგვაროთ საქართველოს სპორტული ჟურნალისტების უცხოეთში დამოუკიდებლად მივლინების საკითხი. მართლაც, სხვის ნება-სურვილზე როდემდე უნდა ვიყოთ დამოკიდებული? ხომ ფაქტია, ცენტრმა, ვითომც არაფერიაო, ხელის ერთი დაკვრით „გადაშალა" ის სამი ადგილი, ადრე იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატზე რომ გამოუყვეს საქართველოს ჟურნალისტებს.



რაღა თქმა უნდა, მივლინებას სახსრები ესაჭიროება. იძულებული ვართ ერთხელ კიდევ ვთქვათ: „ლელო" მილიონ ასი ათას მანეთს წმინდა მოგებას აძლევს ბიუჯეტს და ამ დროს ჩვენი გამომცემლობა ყოველგვარ დაბრკოლებას ქმნის, რათა ჟურნალისტს ფული არ გადაუხადოს. ასე იყო ამჟამადაც, ისევ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ გამოიჩინა გულისხმიერება და სიეტლში წასვლა-წამოსვლის (გზის) ფული გადაუხადა გაზეთის წარმომადგენელს.

...კალათბურთელთა საკავშირო ნაკრებში ორი ქართველი სპორტსმენი გამოდიოდა — ზვიჩა ყაველაშვილი და ნუგზარ ფოფხაძე. გუნდები სიეტლიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით თამაშობდნენ — ზუსტად ერთი საათის სავალია ავტომანქანით. კალათბურთის ახალი სტადიონის სიახლოვეს არავითარი დასახლება არაა, პირდაპირ უკაცრიელ ადგილზე გაუშენებიათ სასპარეზო, ირგვლივ კი სულ მწვანე მასივია და არენა მართლაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქართველი სპორტსმენების თამაშით ყველა კმაყოფილი იყო — მწვრთნელებიც და, რაც მთავარია, მაყურებელიც. მეტწილ მატჩებზე ხალხით სავსე ტრიბუნები საბჭოთა ნაკრებს ქომაგობდა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირში დიდი ხანი არაა, რაც კალათბურთის თამაში დაიწყეს და ახალბედებს, ბუნებრივია, მხარს უჭერდნენ. მით უმეტეს, ამერიკელებმა იხილეს, რა დიდი მონდომებით ეუფლებიან მათს „ეროვნულ სახეობას" საბჭოთა სპორტსმენები. ახალბედებისგან თვალსაჩინო წარმატებას არავინ მოელოდა და, ცხადია, არც სასწაული მომხდარა. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ საბჭოთა ნაკრებში ორი ქართველი კალათბურთელი იყო.

რამდენიმე სიტყვა გიორგი ჩოგოვაძის შედეგზე. ისევე, როგორც სეულის ოლიმპიადაზე, მისგან სიეტლშიც მედალს მოელოდნენ, მაგრამ იქაც და ახლა აქაც ჩვენს წყალში მხტომელს ხელი მოეცარა, უბრალოდ, არ გაუმართლა. სეულში იგი ავად გახდა, სიეტლში კი...

გიორგი და მისი თანაგუნდელი ერევნელი ჯავადიანი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. შეჯიბრებაზე ჩოგოვაძის გამოსვლის წინაღამეს ჯავადიანი თურმე შინ არ დაბრუნდა. გიორგიმ, გასაგები მიზეზის გამო, განგაში არ ატეხა, მაგრამ არც დაუძინია, მთელი ღამე ელოდა მეგობარს. მხოლოდ დილის შვიდის ნახევარზე შეაცურეს წერილი ჩოგოვაძის ოთახში, სადაც ეწერა, ჯავადიანმა გადაწყვიტა დარჩეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და ნუ ელოდებითო. საიდან იყო ეს ცნობა, არავინ უწყის, ყოველ შემთხვევაში, ალბათ ჯავადიანი უკვე სიეტლიდან ძალზე შორს გახლდათ და ამ წერილის ტექსტიც სიეტლში საიდანღაც ალბათ ვიღაცას უკარნახეს. ყველაფერი ეს დაწვრილებით აქვს ნაამბობი ჩოგოვაძის მწვრთნელს იური გუტიაკულოვს.

როგორც ადრე გაუწყეთ, გიორგი თითქმის ფინალამდე მაინც ლიდერობდა, მაგრამ ბოლო ნახტომების შესრულებისას დაკარგა ძვირფასი ქულები და საბოლოოდ მეოთხე ადგილი ხვდა. მეოთხე ადგილზე გავიდა ხრისტინა ფალასანიდიც — როგორც წყვილთა ისე ერთეულების პროგრამით. სიეტლის თამაშები ალბათ ბოლო შეჯიბრება იყო, სადაც ეს სპორტსმენი საკავშირო ნაკრების ღირსებას იცავდა როგორც საქართველოს წარმომადგენელი. ხრისტინა, როგორც გვითხრეს, გათხოვდა და საბერძნეთში აპირებს საცხოვრებლად გადასვლას.

ურიგო არ იყო ვახტანგ იაგორაშვილის ვერცხლის მედალი თანამედროვე ხუთჭიდში, პირად პირველობაში. მით უმეტეს, თამაშების წინ, მსოფლიო ჩემპიონატში, მას საერთოდ ხელი მოეცარა. ვახტანგს ბოლო პერიოდში უსიამოვნება მიაყენეს, როცა შეჯიბრებაზე წასულს პირწმინდად გაუქურდეს ბინა. ნერვიულობას მსოფლიო ჩემპიონატზე და ალბათ სიეტლშიც უკვალოდ არ ჩაუვლია.



მაშ ასე, 10 სპორტსმენი საქართველოდან და 6 მედალი. (ორი „ოქრო", ორი „ვერცხლი", ორი „ბრინჯაო"). სხვათა შორის, მედლების დათვლას და ქულების გამოანგარიშებას სიეტლის თამაშებზე არ აპირებდნენ. აქ წინა პლანზე იდგა არა იმდენად სპორტული ასპარეზობა და მისი შედეგები, რამდენადაც მისია — თამაშებს კიდევ უფრო დაეახლოებინა ერთმანეთთან საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. საამისოდ მასპინძლებმა მართლაც ყველაფერი გააკეთეს. მედლის მეორე მხარე, შეიძლება თამამად ითქვას, მთელი სიკაშკაშით გამობრწყინდა.

და მაინც, მედლებისა და საპრიზო ადგილების დათვლა, პირველობა თვით ამერიკელებმა წამოიწყეს და წამოიწყეს მას შემდეგ, რაც თავადაც დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირის გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. ესეც გულუხვი მასპინძლების კიდევ ერთი მოულოდნელი ჟესტი გახლდათ საბჭოთა დელეგაციის საამებლად.

გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" გამოაქვეყნა ცხრილი, რომელშიც მითითებულია ცალკეული ქვეყნების მიერ მოპოვებული მედლები. ეს ცხრილი მთელს მსოფლიოში გავრცელდა. ჩვენ ვწერდით, რომ საქართველოს ათმა წარმომადგენელმა მოპოვებული მედლების რიცხვით უკან ჩამოიტოვა დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, ბრაზილია და მექსიკა, იუგოსლავია და ჩეხეთ-სლოვაკეთი, შვეცია და დანია... ყველას არ ჩამოვთვლით (სრული სია იხ. „ლელოს" 7 აგვისტოს ნომერში). საფიქრებელია გაჩნდეს კითხვა: კი მაგრამ, შეიძლება ასეთი შედარება, თუ სრული გუნდით მხოლოდ სსრ კავშირი და აშშ გამოდიოდნენ? პასუხი ასეთია: სრული შემადგენლობით არც საქართველო გამოსულა თამაშებში — ეს ერთი; მეორე და მთავარი კი ისაა, რომ თუ ხსენებულ ქვეყნებთან და კიდევ სურინამთან და ბაჰამის კუნძულებთან უპირატესობით თავს იწონებს ორი სპორტული ზესახელმწიფო — სსრ კავშირი და აშშ, საქართველოსთვის რატომ უნდა იყოს ასეთი შედარება მიუღებელი? მით უმეტეს, „გაჯიბრების" თაოსნობა ჩვენ არ გვეკუთვნის. კეთილი ნების თამაშებმა ჭეშმარიტად კეთილი მოგონებები დატოვა ყველა მათგანში, ვინც იმ დღეებში სიეტლის სტუმარი იყო, და ალბათ იმათშიც, ვინც ტელეეკრანზე ნაწილობრივ მაინც იხილა და იგრძნო თამაშების ატმოსფერო.

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**სიეტლი—თბილისი.**

[1] დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 150, 151, 153, 154.

# პირველი წინაღობა გადალახულია

(დასასრული)

დის დამარცხებით მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მიიღო, ხოლო ლენინგრადელებმა ორივე მატჩი წააგეს და დაემშვიდობნენ მეოთხედფინალს. მაგრამ ჩვენმა ჭაბუკებმა მაინც თავგამოდებით ითამაშეს, და, შეიძლება ითქვას, პირველ ორ პერიოდში გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი. ამ მოკლე ხანში მათ შვიდი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში, რასაც მოწინააღმდეგემ მხოლოდ ერთით უპასუხა. განსაკუთრებით შესანიშნავად ითამაშეს ჩივაძემ და კლდიაშვილმა, — მათ არაერთხელ აიღეს მეტოქის კარი. მესამე პერიოდი ისევ ჩვენების შეტევებით დაიწყო, აქტიურობდნენ: ლაითაძე, ამბოკაძე, დუგლაძე, გეგენავა, ხორბალაძე, განსაკუთრებით — ოჰანესიანი. მათმა მონდომებამ მალე გამოიღო შედეგი. ჩვენი გუნდი კიდევ უფრო დაწინაურდა — 9:1. თითქმის ყველაფერი ნათელი იყო, საქართველოს გუნდმა მორიგი, მესამე გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ის მაინც ბოლომდე უტევდა და საბოლოო ანგარიშით — 11:3 დაამარცხა მეტოქე. ამ დღეს კარგად ითამაშეს გუნდის მეკარეებმაც —ასათიანმა და მისმა შემცვლელმა თოდრიამ, რომელთა ოსტატობამ არაერთი ხიფათისგან იხსნა გუნდი.

მაშ ასე, მეოთხედფინალის საგზური მოპოვებულია, ძნელი და დაძაბული ბრძოლები კი წინაა. საქართველოს ნაკრებთან ერთად მეოთხედფინალში იასპარეზებენ უკრაინის, მოსკოვის, მოლდოვას, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, სომხეთის და ტაჯიკეთის ნაკრები გუნდები. მესამე ტურის შედეგები: აზერბაიჯანი — რსფსრ 9:7, უზბეკეთი — ყაზახეთი 7:6, თურქმენეთი — სომხეთი 12:6, ბელორუსია — ტაჯიკეთი 8:9.

მეოთხედფინალური შეხვედრები დღეს გაიმართება.

**ლევან ჯავახიშვილი**

# პოპოვა, არახამია და სხვანი

**პოდოლსკი.** გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი: ბოლო ორ ტურში გათამაშების ლიდერებმა, თბილისელმა ქეთევან არახამიამ და ლუგანსკელმა ზოია პოპოვამ, შესაბამისად, 1,5 და 2 ქულა აიღეს.

**მერვე ტური.** დიომინა — არახამია 0,5:0,5; ციგანოვა — ჯანჯღავა 1:0; პოპოვა — ბორულია 1:0; სემიონოვა — ტაჯიევა 0:1; სტეპოვაია — პუდკოვა 1:0; უმანსკაია — ფურინა 0,5:0,5; ჩიოლუშკინა — ერნესტე 0,5:0,5; ბორსუკი — პრუდნიკოვა 0,5:0,5; შუმიაკინა — მატვეევა 0,5:0,5.

**მეცხრე ტური.** არახამია — ბორსუკი 1:0; ჯანჯღავა — სემიონოვა 0,5:0,5; პუდკოვა — პოპოვა 0:1; ბორულია — შუმიაკინა 0:1; პრუდნიკოვა — სტეპოვაია 1:0; ერნესტე — დიომინა 1:0; მატვეევა — ციგანოვა 0:1; ფურინა — ჩიოლუშკინა 0,5:0,5; ტაჯიევა — უმანსკაია 0,5:0,5.

9 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ზ. პოპოვა (ლუგანსკი) —7 ქულა, ქ. არახამია (თბილისი) — 6,5, ი. ერნესტე (რიგა) და ტ. შუმიაკინა (ჩელიაბინსკი) — 6-6.

**ეროვნული თასი ფეხბურთში**

**გუშინ...**

**თბილისის** ეროვნულ სტადიონზე „მართვემ" (იგი მასპინძლად ითვლებოდა) ფეხბურთში საქართველოს თასზე გამოტოვებული პირველი მერვედფინალური შეხვედრა ჩაატარა „იბერიასთან".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. განმეორებითი შეხვედრა 28 აგვისტოს, ამავე სტადიონზე გაიმართება.

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

„...თუმი" (ბათუმი) — „ამი-...ი" (ოჩამჩირე) 1:0 (0:0)

...თუმი. ცენტრალური სტადიონი. ...აგვისტო.

„...ათუმი": მამინაშვილი, გოგი-..., მჭედლიშვილი, დურდიაძე, ...აშვილი, ზედანია, მ. მახარაძე, ...ტაძე, შანიძე (კულუმბეგოვი), ...ტუში, მაისურაძე.

„...მირანი": ბენიძე, ვართანოვი, ...მიძე, შელია, ახვლედიანი, აფე-...ული, ზ. ლურწკაია, თ. კაკუ-..., ბუჩუა (ქობალია), ჭითანავა, ...მელიძე.

...ჯები: მ. ჭელიძე, ა. შილაკაძე (...ვე — თბილისი), გ. ბეხთაევი (...ი).

...აფრთხილეს ზ. ლურწკაია.

...ჩი მასპინძელთა იერიშებით ...ყო, მარტო პირველ თხუთმეტ ...ში მაისურაძეს რამდენჯერმე შე-...ო დაეწინაურებინა თავისიანები, ...მ გადამწყვეტ მომენტში ხან ...ამსხმელი სცოდავდა, ხან კი ...ე იდგა მოწოდების სიმაღლეზე, ...ვიტყვით, რომ ოჩამჩირელთა ...დარაჯმა ჩინებულად ჩაატარა ...ტჩი. პირველ ნახევარში ბურ-...ს გატანა შეეძლოთ მაჭუტაძეს, ...აშვილს, ტუღუშს.

...მჩირელმა ფეხბურთელებმა შე-...რის ორივე ნახევარი კონტრ-...ვებზე ააგეს და 75-ე წუთზე ...ს იყვნენ კიდეც მიზანთან, რო-...ც ურთმელიძის დარტყმა კარის ...დან გამოიტანა გოგიტიძემ. ბა-...ლთა მასირებულ შტურმს გო-...მხოლოდ 87-ე წუთზე მოჰყვა, ...საც კუთხურიდან ჩამოწოდე-... ბურთს კარგად შეურჩია ად-... მ. მახარაძემ და მაღალი ნა-...ით თავით გამარჯვების გოლი ...ტანა.

გიორგი მურვანიძე

„...ურია" (ლანჩხუთი) — „ოდი-..." (ზუგდიდი) 5:0 (2:0)

...ნჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 19 აგვისტო.

„...ურია": ქანთარია, ჩხაიძე (ლო-...), კაბისაშვილი, დანელია, მაჟე-..., ცომაია, ბარათაშვილი (გუჯა-...), ფრიდრიკასი, კორღალიძე (კვი-...ძე), ფრიდონაშვილი, უგრელი-...

„...დიში": ჭანტურია, კვიტატია-..., ...დარეიშვილი, თუთბერიძე, ჯა-...ლი, ჯიქია, მალანია, შერო-..., ბიგვავა, ზდანჩუსი, ტიბუა (გო-...ა).

...ჯები: თ. ლაცაბიძე, მ. კილაძე, ...მილაკაძე (ყველა — თბილისი).

...აფრთხილეს: ფრიდრიკასი.

...ზუგდიდელ ფეხბურთელებს მრა-... გულშემატკივარი ჩამოჰყვა ...ხუთში, მაგრამ გუნდის თამა-...ალე გაუცრუა იმედი მათ. მა-... დასაწყისიდანვე ინიციატივა ...ნძლებმა აიღეს ხელთ და ბო-...დე ფლობდნენ მას.

...ველი გოლი ჯერ კიდევ მე-4 ...ზე გავიდა. ზუგდიდელთა ნახე-...ე უხეშად ეთამაშნენ ფრიდრი-..., დანელიამ საჯარიმო დარტყ-... ბურთი სტუმართა მეკარის ბა-... ჩაჭიდა. იქ ყველას დაასწრო ...დონაშვილმა და ზუსტი თავური ...ტყმით ანგარიში გახსნა. „გუ-... კვლავ უტევდა. განსაკუთრე-... აქტიურობდნენ კორღალიძე, ...ელია, ფრიდონაშვილი. 23-ე წუ-... ლანჩხუთელთა მრავალსვლიანი ...მბინაცია გოლით დააგვირგვინა ...ღალიძემ — 2:0. პირველ ტაიმში ...ევ რამდენიმე საგოლე მომენტი ...შნა სტუმართა კართან, და, ამ-...დ, ჭანტურიას ხშირად უხდე-... თავისი შესაძლებლობების ...ნსტრირება.

...ტჩის მეორე ნახევარიც მასპინ-... დიდი უპირატესობით ალი-..., თუ არ მივიღებთ მხედველო-ბაში ერთ მომენტს, როცა 48-ე წუთზე ბიგვავა პირისპირ გავიდა ქანთარიასთან, მაგრამ ბურთი ააცილა მიზანს.

„გურიამ" კვლავაც განახორციელა ლამაზი, სწრაფი, სახიფათო შეტევები, რაც შედეგშიც აისახა. 57-ე წუთზე უგრელიძე-ფრიდრიკას-კორღალიძის სწრაფი კომბინაცია ამ უკანასკნელმა კარის აღებით დაასრულა. 66-ე წუთზე უგრელიძემ გამოიჩინა თავი, ხოლო 82-ე წუთზე დანელიამ კარგად მიაწოდა ბურთი კვინტრაძეს, მან დროზე შენიშნა უგრელიძე, რომელმაც ანგარიში ხუთამდე გაზარდა.

გურამ წილოსანი

„მერცხალი" (ოზურგეთი) — „კოლხეთი" (ხობი) 2:2 (1:1).

ოზურგეთი. სტადიონი „მეგობრობა". 18 აგვისტო.

„მერცხალი": ზოიძე, ხამაშურიძე, ათუაშვილი, ბერიშვილი, კალატოზიშვილი, მეავანაძე, ჩხაიძე, ქალანდაძე (კაშია), თეთრაძე (ცერცვაძე), ნასუაშვილი, ჩიგოგიძე.

„კოლხეთი": ბერაძე, ჭეჭელავა, კაციტაძე, ხურცილავა, ლატარია, ბეხთაევი (ბაკურაძე), გვახალია, რუხაძე, კალუუა (ფარფალია), თევზაძე, ჭიჭინაძე.

მსაჯები: ვ. ხერხიანი, თ. კურტანიძე, ი. მენთეშაშვილი (სამივე — თბილისი).

ეს შეხვედრა მასპინძლებმა შესუსტებული შემადგენლობით ჩაატარეს. სხვადასხვა მიზეზის გამო ამ მატჩს „მერცხლის" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მიუხედავად ამისა, თამაშზე მისული მაყურებლები საინტერესო ორთაბრძოლის მოწმენი გახდნენ.

პირველი ბურთი შეხვედრის დასაწყისშივე გაიტანა ხობელმა კალუუამ, მასპინძლებმა 27-ე წუთზე შეძლეს საპასუხო გოლის გატანა, კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს მაღალ ნახტომში შესწვდა მეავანაძე და თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

შეხვედრის მეორე ნახევრის 52-ე წუთზე კაციტაძის მიერ გატანილი ბურთის შემდეგ ოზურგეთელები ისევ მდევრის როლში მოგვევლინნენ. „მერცხალმა" 70-ე წუთზე ბერიშვილის საჯარიმო დარტყმის შედეგად კვლავ გაათანაბრა ანგარიში — 2:2. მატჩიც ასე დამთავრდა.

ნუგზარ ახათიანი

* * *

„მზიური" (გალი) — „დილა" (გორი) 1:1 (1:1)

გალი. ცენტრალური სტადიონი. 19 აგვისტო.

„მზიური": გეთია, თ. ლურწკაია, ფარფალია, დ. ლურწკაია, ხურცილავა, გაბისონია, ჭლარკავა, დ. ჩხეტია (კაკავა), ბალტუშნიკასი, ხარჩილავა, ქანთარია.

„დილა". ჩოჩიევი, მელქაძე, განიძე, ქობეხოვი, ანიაშვილი, ბალაბანოვი, მარეხაშვილი, გაზაშვილი, მარლიშვილი, ნეფარიძე, ვალიშვილი.

მსაჯები: მირცხულავა (ლანჩხუთი), დ. მენთეშაშვილი (თბილისი), ა. დოჩია (გალი).

გოლები: ხურცილავა, გაზაშვილი.

გააფრთხილეს: ბალაბანოვი, ვალიშვილი.

* * *

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:0 (0:0)

ფოთი. „ფაზისის" სტადიონი. 19 აგვისტო.

„კოლხეთი-1913": მიქავა, კაკაჩია, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე, ქყონია (ქვანია), თვარაძე, ავრამიდისი (ბაჯალაძე).

„სამგურალი": მიქაძე, მოსეშვილი, წიქარიშვილი, ხურცილავა, ლ. ფეხტვენიძე, ხვიტია, ცნობილაძე, კერესელიძე, ჩიხრაძე (გოგელიძე), სიჭინავა, ხარაბაძე.

მსაჯები: ა. მილჩენკო, ვ. ტოროსიანი (ორივე — სოხუმი), თ. წურქავა (ფოთი).

გოლი: თოფურია.

გააფრთხილეს: მოსეშვილი, მახარაძე.

* * *

„ქუთაისი" (ქუთაისი) — „ცხუმი" (სოხუმი) 1:1 (0:0)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 19 აგვისტო.

„ქუთაისი": ჩხეიძე, თევზაძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, შავგულიძე, ნადირაძე, შენგელია, ჯანაშია, ჯულელი, დარახელია, ფაიქიძე (წიკლაური).

„ცხუმი": ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, სიჭინავა, მალანია, ინალიშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, ჩეხონავა (გადელია), გაბისკირია, ქურ-გენიანი.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ვ. ეჯიბია, ლ. ჩიტაია (ორივე — თბილისი)

გოლები: ჯულელი, ჯიშკარიანი.

* * *

„ივერია" (ხაშური) — „გორდა" (რუსთავი) 1:8 (1:8)

ხაშური. „ივერიის" სტადიონი. 19 აგვისტო.

„ივერია": მურადაშვილი, ჭანგურიძე, მაღრაძე, ხარებაშვილი, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ქიმერიძე (რ. ნოზაძე), პოზოიანი, პ. ნოზაძე (თევზაძე), მღვდლაძე (აბაზაძე), რობაქიძე.

„გორდა": ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, აფციაური, ტ. კაპანაძე, კილასონია (ბერიძე), ა. კაპანაძე, ფანცულაია, (დიმიტრიშვილი), მიქაშავიძე.

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ზ. ჯინჯარაძე (ოზურგეთი), ე. სილაგავა (თბილისი).

გოლები: კილასონია, კაპანაძე, ფანცულაია, პოზოიანი.

გააფრთხილეს: მიქაშავიძე.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბათუმი" (ბათუმი) | 20 | 14 | 4 | 2 | 39-9 | 46 |
| „იბერია" (თბილისი) | 20 | 13 | 4 | 3 | 57-13 | 43 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 20 | 13 | 4 | 3 | 45-7 | 43 |
| „გორდა" (რუსთავი) | 20 | 13 | 3 | 4 | 39-17 | 42 |
| „ქუთაისი" (ქუთაისი) | 21 | 12 | 3 | 6 | 35-19 | 39 |
| „კოლხეთი-1913" (ფოთი) | 20 | 11 | 3 | 6 | 29-20 | 36 |
| „ცხუმი" (სოხუმი) | 20 | 9 | 6 | 5 | 34-19 | 33 |
| „მერცხალი" (ოზურგეთი) | 21 | 8 | 8 | 5 | 31-23 | 32 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 20 | 8 | 5 | 7 | 30-22 | 29 |
| „სანავარდო" (სამტრედია) | 21 | 8 | 5 | 8 | 22-28 | 29 |
| „შევარდენი-1906" (თბილისი) | 21 | 8 | 3 | 10 | 28-40 | 27 |
| „დილა" (გორი) | 20 | 7 | 4 | 9 | 28-31 | 25 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 21 | 5 | 7 | 9 | 19-24 | 22 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 21 | 6 | 3 | 12 | 22-38 | 21 |
| „მზიური" (გალი) | 21 | 6 | 3 | 12 | 25-47 | 21 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 21 | 4 | 5 | 12 | 17-29 | 17 |
| „ივერია" (ხაშური) | 21 | 5 | 0 | 16 | 14-49 | 15 |
| „ლიახვი" (ცხინვალი) | 21 | 0 | 0 | 21 | 10-88 | 0 |

## I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „სქური" (წალენჯიხა) — „სულორი" (ვანი) 2:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 3:0, ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 0:2, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:0, „სიონი" (ბოლნისი) — „კახეთი" (თელავი) 3:3, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „სიხარული-90" (გაგრა) 1:0, „არმაზი" (მცხეთა) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 5:2, „მარგვეთი" (ზესტაფონი) — „მალაროელი" (ჭიათურა) — 3:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „იმერეთი" (ხონი) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „არაგვი" (დუშეთი) 0:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 23 | 17 | 3 | 3 | 48-21 | 54 |
| „მარგვეთი" (ზესტაფონი) | 22 | 17 | 1 | 4 | 51-22 | 52 |
| „სულორი" (ვანი) | 23 | 14 | 4 | 5 | 36-26 | 46 |
| „კახეთი" (თელავი) | 23 | 12 | 5 | 6 | 37-23 | 41 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 23 | 10 | 8 | 5 | 36-31 | 38 |
| „სიხარული-90" (გაგრა) | 23 | 11 | 4 | 8 | 40-25 | 37 |
| „სიონი" (ბოლნისი) | 23 | 10 | 7 | 6 | 42-32 | 37 |
| „იმერეთი" (ხონი) | 23 | 9 | 5 | 9 | 25-33 | 32 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 23 | 10 | 1 | 12 | 24-34 | 31 |
| „ქართლი" (გორის რ-ნი) | 23 | 9 | 2 | 12 | 32-31 | 29 |
| „საპოვნელა" (თერჯოლა) | 23 | 8 | 4 | 11 | 30-31 | 28 |
| „მალაროელი" (ჭიათურა) | 23 | 8 | 4 | 11 | 33-39 | 28 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 23 | 8 | 3 | 12 | 40-42 | 27 |
| „არმაზი" (მცხეთა) | 22 | 7 | 6 | 9 | 30-38 | 27 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 22 | 5 | 10 | 7 | 30-32 | 25 |
| „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) | 23 | 5 | 9 | 9 | 25-29 | 24 |
| სტუ | 23 | 7 | 1 | 15 | 28-48 | 22 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 23 | 5 | 7 | 11 | 23-46 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. | 22 | 5 | 6 | 11 | 23-35 | 21 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 23 | 4 | 4 | 15 | 21-36 | 16 |

### იმაზე, რაც ჩვენც გვაწუხებს

# დიდი, სასიხარულო პერსპექტივა

**სსრკ** კოოპერატივების კავშირის ყოველკვირეულ გამოცემა „კომერსანტის" №31-ში ჩვენთვის ფრიად საყურადღებო ცნობაა გამოქვეყნებული. გაზეთის ბოლო გვერდზე დაბეჭდილია იგორ ფეინის ინფორმაცია „სამარანჩი ეშვება ოლიმპიდან". გთავაზობთ ამ წერილს მთლიანად:

„ბალტიისპირეთის 3 რესპუბლიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა 4 აგვისტოს მიიღეს მიწვევა — ჩავიდნენ შვეიცარიაში და მონაწილეობა მიიღონ მოლაპარაკებაში მათი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მიღების თაობაზე. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლებს დღემდე უმტკიცებდა, რომ სანამ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობა იურიდიულად არ გაფორმდება, ლაპარაკიც არ შეიძლება მათი ოლიმპიური უფლებების აღდგენაზე.

ამ მოწვევაში ლაპარაკი არაა იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია სოკ-ის პრეზიდენტის ასეთი სერიოზული დათმობა. სპეციალისტთა უმეტესობა ვარაუდობს, რომ გამოცდილი დიპლომატი ხ. სამარანჩი გაერკვა სიტუაციის სრულ სერიოზულობაში: თავიანთ სპორტულ სუვერენიტეტზე ხმა აიმაღლეს სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებმაც, რომლებსაც გაერო-ს სტატუსი გააჩნიათ, კერძოდ, უკრაინამ და ბელორუსიამ. ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებიც 30 აგვისტოს თავიანთ ელჩებს აგზავნიან ლოზანაში, შეაიარაღეს უმთავრესი არგუმენტით: ამ ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან არავის გაურიცხავს, **თავიანთი წევრობა მათ დაკარგეს მხოლოდ მაშინ, როცა დაკარგეს დამოუკიდებლობა.**

ცვლილებათა სიომ განაახლა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის იოზეფ ბლატერის პოზიციაც. ხ. სამარანჩისგან განსხვავებით, ი. ბლატერმა პირველად უშუალოდ მიმართა თვით განდგომილებს, აზრი გამოთქვა, რომ სსრ კავშირის პოლიტიკურ სიტუაციაში ახლა ისეთი ცვლილებები ხდება, რომ **სრულიად თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი ლიტვისა და საქართველოს ფედერაციების ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრად აღიარებაზე.** ამასთან, გენერალურმა მდივანმა სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ბალტიისპირეთის ზოგიერთმა ფეხბურთელმა არ დაუცადა პრობლემის ოფიციალურ გადაწყვეტას და უცხოეთში გაემგზავრა, სადაც მუშაობენ ტაქსისტებად, მზარეულებად, ექსპედიტორებად იმ იმედით, რომ მათ უახლოეს ხანებში მოუხმობენ საფეხბურთო მინდორზე. არა, — განმარტა ბლატერმა, — სანამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია არ აღიარებს ამ ეროვნულ ფედერაციებს, ფეხბურთელებსაც არავინ მოუხმობს".

**„ლელოს" რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი საბჭოთა კავშირში შექმნილი საერთო პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად, მიიჩნევს, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში ლიტვისა და საქართველოს ფედერაციების უშუალოდ წევრებად მიღების საკითხი სავსებით რეალურია, საამისო გზები მთლად გადაწყრული არ არის. და ეს მაშინ, როცა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ვ. კოლოსკოვს ერთთავად ფარად ჰყავს აფარებული სწორედ ი. ბლატერი და მასთან წარმოებული მოლაპარაკების შედეგად რაღაც „საკუთარი" ინფორმაციით ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ დღევანდელი საბჭოთა კავშირიდან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში დამოუკიდებლად ვერ შევა ვერავინ, ვერც უკრაინა, ვერც ბელორუსია, ვერც საქართველო და ვერც ლიტვა.**

**როგორც ხედავთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობის საქმე მთლად ჩიხში მოქცეული არაა, ამიტომაც პერსპექტივები რეალურად გვესახება. საჭიროა ენერგიულად, შეუპოვრად ვიბრძოლოთ ჩვენი კანონიერი უფლებების საერთაშორისო ასპარეზზე მოსაპოვებლად.**

### ნაკრები ემზადება იტალიაში

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრები საწვრთნელი შეკრებისა და ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრათა ჩასატარებლად იტალიაში იმყოფება. საბჭოთა გუნდმა აქ მეორე მატჩი გენუის „სამპდორიასთან" გამართა (ეს გუნდი ამჟამად ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელია).

დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 1:1. საინტერესოა, რომ კიევის „დინამოს" ფეხბურთელმა ალექსეი მიხაილიჩენკომ, რომელიც საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა, მატჩის ბოლო 7 წუთი „სამპდორიის" შემადგენლობაში გადაინაცვლა. იგი უკვე ამ კლუბის წევრი გახდა და იტალიის ჩემპიონატში ითამაშებს.

# ახლა უკვე სამგზის ჩემპიონი



**ბუენოს-აირესი.** კალათბურთელ ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები, უკვე მესამედ, იუგოსლავიელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს. ფინალში მათ ანგარიშით 92:75 (52:34) დაამარცხეს საბჭოთა კავშირის ნაკრები. უნდა აღინიშნოს, რომ ოთხი წლის წინათაც, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კალათბურთელებს ვერცხლის მედლები ხვდათ.

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი აშშ-ის გუნდი მესამე ადგილზე გავიდა. გადამწყვეტი შეხვედრის დამატებით დროში მან პუერტო-რიკოს ნაკრებს აჯობა —107:105.

## მოყვარულებმა აჯობეს პროფესიონალებს

**მაებაში.** იაპონიის ამ ქალაქში დაიწყო ველოსიპედისტთა (ტრეკი, გზატკეცილი) 87-ე მსოფლიო ჩემპიონატი მოყვარულთა და პროფესიონალთა შორის, რომელშიც მონაწილეობს 50 ქვეყნის ათასზე მეტი სპორტსმენი.

პირველ დღეს, ტრადიციულად, გაიმართა სპრინტერთა საკვალიფიკაციო შეჯიბრება 200 მეტრზე გიტში სვლით, მოყვარულთა შორის საპრიზო ადგილები განაწილდა ასე: 1. ბილ ჰუკი (გდრ) — 10,153, 2. კურტის პარნეტი (კანადა) — 10,271, 3. იენს ფიდლერი (გდრ) — 10,278. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პროფესიონალებს შედეგები უარესი ჰქონდათ: 1. მიჰაელ ჰიუბნერი (გდრ) —10,345, 2. კლაუდიო გოლინელი (იტალია) — 10,357, 3. სტეფენ პეიტი (ავსტრალია) — 10,400

საბჭოთა სპრინტერებმა დაიკავეს მეექვსე (ალექსეი ზინოვიევი — 10,350), მეცხრე (ვლადიმერ სტრახოვი — 10,402) და მეთორმეტე (ნიკოლოზ კოვში — 10,571) ადგილები.

ამავე დისტანციაზე ქალთა შორის საუკეთესო დრო ჰქონდა იზაბელ გოტერონს (საფრანგეთი) — 11,376.

ჩემპიონატში არ მონაწილეობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სპრინტში, ტალინელი ერიკა სალუმიაე.

# ცვლილებები რაგბის თამაშის წესებში

**რაგბის** საერთაშორისო საბჭომ (ირბ) წლიურ სხდომაზე, რომელიც წლეულს, მარტში, ლონდონში გაიმართა, დაამტკიცა თამაშის წესების ექვსი ცვლილება. ამგვარად, „გადახალისებული" წესები სულ მალე, 1 სექტემბერს, ამოქმედდება. მათი დაცვა სავალდებულოა მთელი სარაგბო სამყაროსათვის.

ცვლილებათაგან ორ-ორი ეხება შერკინებასა და მოთამაშის შეცვლას, თითო — ბურთის კარში დარტყმასა და თავისუფალი დარტყმის შესრულებას. ისევე, როგორც ბოლო ათწლეულის მანძილზე წესებში შეტანილი სხვა შესწორებანი, ეს ცვლილებებიც შემტევი თამაშის ხელშეწყობასა და მოთამაშეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურებიან.

დავიწყოთ შერკინებით. დღესდღეობით მოქმედი წესებით, შერკინებაში მდგომ მოთამაშეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაეცალოს შერკინებას, თუკი თავად ბურთს უკან დგას. ამიერიდან კი ბურთის უკან ყოფნის მოთხოვნა უქმდება, რისი წყალობითაც შერკინების მესამე ხაზის ფრთის მოთამაშეებს უფლება ეძლევათ გაეცალონ შერკინებას, მყის „თამაშგარეს ხაზს" უკან დაიხიონ და საიერიშოდ გაემზადონ, მაშინაც კი, როცა ბურთი უკვე თანაგუნდელი შემკვრელის (მერვე ნომრის) ფეხთითაა.

მეორე ცვლილება შერკინების შემოტრიალებას ეხება. ამიერიდან, თუ შერკინება 90 გრადუსზე მეტად მობრუნდა, ხელახალი შერკინება პირვანდელ ადგილზე კი აღარ გაიმართება, არამედ თამაშის შეჩერების ადგილზე მოეწყობა. ამასთან, შერკინებაში ბურთს ის გუნდი შეაგორებს, ვინც მას პირვანდელ შერკინებაში დაეუფლა, და არა მაინცდამაინც ის, ვინც ბურთი იმ შერკინებაში შეაგორა. დაგვეთანხმებით, ეს წესიც მოიერიშეს გაუმართავს ხელს.

შესწორება, ბურთის კარში დარტყმას რომ ეხება, ერთგვარად დაგვიანებულიცაა. საქმე ის არის, რომ, ძველი წესებით, კარში დარტყმის წინ ბურთის მიწაზე დასადებად ქვიშისა და ნახერხის გამოყენება მხოლოდ „საგანგებო ადგილობრივ პირობებში" იყო ნებადართული. არადა, ამ ნებართვით მთელს მსოფლიოში შეუზღუდავად სარგებლობდნენ. ამიტომ გასაკვირი არაფერია, თუ საერთაშორისო საბჭოს წესების კომიტეტმა სათამაშო მოედნების დამზოგავი ეს ნებართვა განაზოგადა და ადგილობრივი პირობების ხსენება წესებიდან ამოიღო.

თავისუფალი დარტყმის შესრულებასთან დაკავშირებული ცვლილებაც განზოგადებაა, ოღონდაც — უპირატესობის წესისა. აქამდე, როცა მეტოქეები, წესისამებრ, ...ბოდნენ თავისუფალი დარტყმის ...მსრულებელს და ბურთს არ და... ტყმევინებდნენ, შერკინება ინიშ... ბდა, ამიერიდან, თუკი მიმხდურ... ბმა უპირატესობა მიიღეს, ე. ი. ბ... რთი ხელთ იგდეს, შებოჭეს დამ... ტყმელი და ა. შ. — თამაში გაგ... ძელდება.

კიდევ ორი ცვლილება მსაჯებ... და რაგბის კავშირებს დაშავებულ... მოთამაშეების შეცვლისა და გა... რჩეულთა „ალაგმვის" მეტ უფლ... ბას ანიჭებს. თუ კავშირი საჭირო... მიიჩნევს, ამიერიდან შეუძლია თავ... სი ეგიდით გასამართ საშინაო შეჯ... ბრებებში და ცალკეულ შეხვედრებ... სამის ნაცვლად ექვსი დაშავებულ... მოთამაშის შეცვლა დააწესოს. ... მსაჯს კი უფლება ეძლევა, დაშ... ვებულ მოთამაშეს მოედანი დაატ... ვებინოს, რათა ეს უკანასკნელი ... მმა გასინჯოს და დაასკვნას, შე... ლება თუ არა მოთამაშეს თამაშ... გაგრძელება.

## „ოლ ბლექსი..."

## დამარცხდ...

**შაბათს** ღირსშესანიშნავი ამბ... მოხდა საერთაშორისო რაგბიში. ... ლეველად შერაცხული ახალი ზე... ნდიის ეროვნული ნაკრები „ო... ბლექსი" შინ, ველინგთონში დამ... რცხდა ახალ ზელანდიაში ტურნ... მყოფ ავსტრალიის ეროვნულ ნა... რებ „ვოლაბისთან" — 9:21. ამ... დასრულდა მსოფლიო სარბიელზ... „ოლ ბლექსის" განუკითხავი ბატ... ნობის ხანა, რომელმაც 45 თვ... გასტანა. ამ დროის მანძილზე ახა... ზელანდიელებმა წაუგებლად გამა... თეს 52 შეხვედრა, მათ შორის — 23 ტესტი და ერთის გამოკლები... (როცა იმავე ავსტრალიასთან ფრ... დასჯერდნენ) ყველა თამაში მოიგ...

(საქ. ინფ.)

## ჰოკეისტთა

## ექსპორტ-იმპორტი

**ჰოკეის** საერთაშორისო ფედერა... ციის მონაცემებით, ჩეხოსლოვაკ... მესამე ადგილზე გავიდა მსოფლიოშ... სპორტსმენთა ექსპორტით — 67 კ... ცი. აქ პირველია კანადა — 551 ჰო... კეისტი, მეორე — აშშ —136, ყველ... ზე ბევრი ჰოკეისტი კი იყიდეს გფრ... ის (344), დიდი ბრიტანეთის (107), შვეციისა (89) და ფინეთის (81) კლუბებმა.

## „სპორტლოტო"

**გაიმართა** „სპორტლოტოს" 199... წლის 33-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 5 (თ... ვისუფალი ჭიდაობა), 8 (ველოსპ... რტი, ტრეკი), 15 (ბაიდარებითა დ... კანოეებით ნიჩბოსნობა), 16 (ცხე... ნოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 3 (ბ... ბსლეი), 11 (ფრენბურთი), 23 (თხ... ლამურებით ხტომა და ორჭიდი), 2... (ტყვიის სროლა), 33 (ფეხბურთი).

**შტეფი გრაფი:**

# „იქნებ ჩემი თავი ხელმეორედ აღმოვაჩინო..."

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

**დასავლეთგერმანელი** ჩოგბურთელის შტეფი გრაფის სახელი კარგადაა ცნობილი მსოფლიოში. ინტერვიუ, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ, გამოქვეყნდა დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შტერნში".

● **როდის დაიწყო თქვენი სპორტული კარიერა?**

— ზუსტად არ მახსოვს, 4-5 წლის ვიყავი. მაშინ მანჰაიმში ვცხოვრობდით. მამაჩემი სავარძლებს მიადგამდა ერთმანეთს, თუ ბურთს 20-ჯერ გადავაცილებდი ამ ბარიერს, საღამოს ოჯახურ ზეიმს ვაწყობდით. მამის სამსახურიდან დაბრუნებას მოუთმენლად ველოდი, კარებთან ატუზული ბურთებითა და ჩოგნით. ბავშვობიდან გამომყვა სიჯიუტე და საკუთარი თავისადმი კრიტიკული მიდგომა. სიჯიუტეს პირდაპირი გაგებით არ ვგულისხმობ. შარშან, ნოემბერში, ნიუ-იორკში გამართულ ტურნირზე ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, საავადმყოფოშიც კი მივედი, მაგრამ მაინც შევძელი ნოვოტნას დამარცხება. შემდეგ საბატინისაც ვძლიე და ფინალში გავედი.

● **რა აზრისა ხართ სპორტულ ჟურნალისტებზე? ხომ არ გწყინთ, პრეს-კონფერენციებზე „შენობით" რომ მოგმართავენ?**

— ვისაც ჩოგბურთი ესმის, ყოველთვის თავდაჭერილია, კრიტიკის დროსაც კი. ზოგიერთის ქცევა კი ხანდახან გაკვირვებას იწვევს. საკმარისია, ერთხელ დამარცხდე, რომ იმ წუთშივე იწყებენ ლაპარაკს „ახალ ერაზე". თუ სულ იგებ, ამითაც უკმაყოფილონი არიან — მოსაწყენია, ისე თამაშობს, როგორც მანქანაო... ის ჟურნალისტები, რომლებსაც დიდი ხანია ვიცნობ, შენობით მომმართავენ და ეს ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნია, ზოგიერთი კი მაღიზიანებს, უბრალოდ ეთიკის ამბავია.

● **არის თუ არა ჩოგბურთი ინტელიგენტური თამაში?**

— ინტელიგენტურს პიროვნულობით შევცვლიდი. წარმატების მისაღწევად და მის შესანარჩუნებლად საჭიროა საკუთარ ძალებში დარწმუნება. უნდა შეგეძლოს კონცენტრაცია, ტაქტის გრძნობაც უნდა გქონდეს.

● **ჩოგბურთელ ვაჟთა შორის ვის ანიჭებთ უპირატესობას?**

— ჯონ მაკინროუს. იგი ისე თამაშობს, როგორც ეს არც ერთ სახელმძღვანელოში არ არის აღწერილი. მოულოდნელი დარტყმები აქვს, ისეთი, როგორიც არავის. ხანდახან ვფიქრობ კიდეც — იგი ხომ ცოტას ვარჯიშობს, რასაც მიაღწია, ნიჭის წყალობითაა. პირადად მე მიტაცებს აგრესიული, ლამაზი თამაში. ისე, როგორც, დაახლოებით, ჰენრი ლეფონტი თამაშობს. მაოცებს ივან ლენდლი. იგი თავდაუზოგავად ვარჯიშობს. ერთს ვუსურვებდი — გაიმარჯვოს უიმბლდონზე.

● **როგორ დამთავრდებოდა შტეფი გრაფისა და ივან ლენდლის შეხვედრა?**

— ღმერთო ჩემო, წარმატების არავითარი შანსი! მისი ყოველი მოწოდება და სისწრაფე მარცხის გარანტია იქნებოდა. ისე კი, მაინც შევძლებდი, ალბათ, ერთი- ორი ქულის მოგროვებას.

● **ჩოგბურთს სხვადასხვა სახის კორტზე თამაშობენ, რომელს შეადარებდით ჭადრაკს?**

— ქვიშაზე თამაშს, რადგანაც ამ სახის კორტზე თამაში ნელა მიმდინარეობს, საკმაო დრო გაქვს, იფიქრო. მაგრამ მეორე მხარეც არის — ასეთი კორტები დამღლელია, დიდ ენერგიას მოითხოვს.

● **მიწოდების დროს თუ ფიქრობთ, რას მოიმოქმედებს მოწინააღმდეგე?**

— როდესაც ქვიშაზე თამაშობ, სულერთია, სად მიაწოდებ, ყოველ შემთხვევაში, ასეა ქალთა ჩოგბურთში. ბალახის კორტზე ყოველი პირველი მიწოდებისას ვფიქრობ, რაც შეიძლება რთული გამომივიდეს დარტყმა.

● **ჩოგბურთშიც არის ეგრეთ წოდებული ფსიქოლოგიური ორთაბრძოლა...**

— შეიძლება ასეც მოხდეს — გადამწყვეტი მატჩის წინ უცებ ინტერვიუ წაიკითხო გაზეთში და აღმოაჩინო, რომ კორესპონდენტი შენი მომავალი მოწინააღმდეგის მეგობარია...

● **ბორის ბეკერი ჭადრაკს თამაშობს, თქვენ?**

— ო, არასოდეს მითამაშია.

● **ჩოგბურთის გარდა, სპორტის რომელი სახეობა მოგწონთ?**

— პირველობას კალათბურთს ვანიჭებ. შემდეგ ფეხბურთი, მძლეოსნობა, განსაკუთრებით, სპრინტი და სწრაფი დისციპლინები.

● **რას იტყვით ჩოგბურთელის კონცენტრაციის უნარზე?**

— კონცენტრაცია წარმატების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ხშირ შემთხვევაში მეც კონცენტრირებული ვარ, მაგრამ საათნახევარი ამას ვერავინ შეძლებს. ამერიკაში ერთ-ერთი ტურნირის დროს ისიც კი შევძელი, რომ ჩემი მენეჯერის ჰორსტ შმიტის მიერ იმ მატჩში მოწეული ყველა სიგარეტი დამეთვალა. ყველაზე კარგი კონცენტრაცია, ვფიქრობ, არის ის, რომ დარჩე ისეთი, როგორიც სინამდვილეში ხარ. ამ დროს, ექსტრემალურ სიტუაციაში თავს თავისუფლად, მსუბუქად გრძნობ.

● **თამაშის დროს მოწინააღმდეგის აზრების წაკითხვას თუ ცდილობთ?**

— მოწინააღმდეგეს არასოდეს ვუყურებ თვალებში. ვცდილობ, დავრჩე ჩემს თავთან, ვაკონტროლო სიტუაცია.

● **ინახავთ თუ არა იმ ბურთს, ჩოგანს, სპორტულ ინვენტარს, რომლითაც ამა თუ იმ ტურნირში გაიმარჯვეთ?**

— უიმბლდონზე ჩემი პირველი გამარჯვების შემდეგ, ჩოგანი მაყურებლებში ვისროლე. ორმა ინგლისელმა, რომლებსაც ჩემი ნასროლი ჩოგანი შეხვდა, მადლობის წერილიც კი გამომიგზავნა.

● **ოლიმპიადაში გამარჯვების ცერემონიალზე გფრ-ის დროშა აღმართეს და ეროვნული ჰიმნი შეასრულეს. სხვა ტურნირებზე ეს არ ხდება...**

— ჰიმნი, კარგი წუთები იყო! მაგრამ ხშირად მისი მოსმენა გაუფასურებას გამოიწვევს. ტურნირებზე მაყურებელთან კონტაქტს ნაკლებად აღვიქვამ. ამ მხრივ სულ სხვა იყო სეულის ოლიმპიადა, რომელიც მშვენიერ მოგონებად დამრჩა.

● **რა არის თქვენთვის ბედნიერება?**

— მას კორტზე ვერ იპოვი. იგი იშვიათობაა. ხანდახან ვფიქრობ — ამდენს მივაღწიე, მაგრამ მაინც რაღაც მაკლია. კარგია გაიმარჯვო, მაგრამ არის თუ არა ეს ბედნიერება?

● **იყო თუ არა წუთები, როდესაც ჩოგბურთი გძულდათ?**

— დიახ, ხანდახან გძულს ის, რაც ასე ძლიერ გიყვარს. მაგრამ შემდეგ ისევ მიმიწევს გული ვარჯიშისკენ, ტურნირებისაკენ.

● **კიდევ რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?**

— 30 წლის ასაკში აღარ ვითამაშებ. ისე, რამდენ ხანს დავყოფ კორტზე, არ ვიცი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის შემოიჭრება ჩემში ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი.

● **შეიძლება თუ არა, ისე მოხდეს, რომ ჩოგბურთში დარჩეთ მწვრთნელად?**

— ჩემი სამყარო ჩოგბურთის თამაშია, სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ გამორიცხულია ჩემი მწვრთნელობა.

● **ეხე იგი, თქვენ არ გააგრძელებთ იმ გზას, რომელიც ირჩია ფრანც ბეკენბაუერმა?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გამორიცხულია. კომენტატორის როლშიც კი ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი.

● **რასისურვებდით სპორტიდან წასვლის შემდეგ?**

— დიდი სიამოვნებით ვიმოგზაურებდი ტრანსციმბირული მატარებლით რუსეთში, სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში — იქ, სადაც ჯერ არ ვყოფილვარ. იქნებ ამ მოგზაურობის დროს აღმომაჩნდეს კიდევ სხვა რამისადმი მიდრეკილება, იქნებ ჩემი თავი ხელმეორედ აღმოვაჩინო.

მოამზადა **მალხაზ რადიანმა.**

## მკითხველი — გაზეთი

**ძვირფასო რედაქცია!**

**გთხოვთ, მიპასუხოთ, ვინ იყო ჩოგბურთელი ლაკოსტა, რომელ წლებში გამოდიოდა იგი კორტებზე და აქვს თუ არა რაიმე კავშირი ამ სახელს ფირმა „ლაკოსტასთან"**

პატივისცემით, **მ. კაცაძე.**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხაინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.**

**დიახ,** ეს შესანიშნავი ფრანგული კვარტეტის ერთ-ერთი წარმომადგენელი რენე ლაკოსტაა, რომელიც ლეგენდარულ თანამემამულე ჩოგბურთელებთან ანრი კოშესთან, ჟან ბოროტრასა და ჟაკ ბრუნიონთან ერთად ჩვენი საუკუნის ოციან წლებში შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს უიმბლდონის ტრადიციული ტურნირისა და დევისის თასის გათამაშებებში. თვით ლაკოსტას 1925 და 1928 წლებში მოგებული აქვს უიმბლდონის ტურნირის ერთეულთა თანრიგი. ამ უნიჭიერეს ჩოგბურთელს თავშეკავებულობისა და გამომეტყველების გამო „ნიანგი" შეარქვეს. სპორტსმენმა ეს მიიღო... როგორც თილისმა. „ნიანგმა" ჩვენს დრომდეც მოაღწია. მისი გამოსახულება ამშვენებს სპორტულ ნაწარმს, რომელსაც ფირმა „ლაკოსტა" უშვებს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

**თბილისის „შევარდენის" სტადიონი**
(ბ. ხმელნიცკის ქ. № 40)

23 აგვისტო

● **ფეხბურთი**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

**„შევარდენი-1906" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი)**

დასაწყისი 17 საათსა და 30 წუთზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 23 აგვისტოს 12 საათიდან.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-56,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,**
**„მერანი" — 93-97-26, „მარჯვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,**
**იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 22.**

**ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20